ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 170/6

თბილისი „10“ „ნოემბერი„ 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ივერსი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან დემეტრაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა“ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი სახსრების ფარგლებში, ფონდის საჭიროებისათვის, პრინტერების, კაბელის და გარე მყარი დისკის (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება CPV-კოდი 30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები , ობიექტი CPV-კოდი - 30237000 – კომპიუტერების ნაწილები აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები, ობიექტი CPV-კოდი - 30232150 - ჭავლური პრინტერები) შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 1042,13 (ერთი ათას ორმოცდაორი ლარი და ცამეტი თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება“).

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება, ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი #1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, მიმდინარე წლის 14 ნოემბრის ჩათვლით, მიმწოდებლის მისამართიდან: თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზ.#2

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

5.2. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს, საგადასახადო ანგარიშფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა შემოსავლების სამსახურიდან) და სასაქონლო ზედნადებს დადგენილი წესის მიხედვით.

6. გარანტია

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

6.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

6.3. „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს ხელშეკრულების დანართი #1-ით გათვალისწინებულ პრინტერებზე 1 წელი და გარე მყარ დისკზე 6 თვე მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

6.4. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

6.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
6.6. გარანტიის მოქმედების პერიოდში, „მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე–6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „შემსყიდველს“ უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.
6.7. საგარანტიო მომსახურება არ განხორციელდება, თუ დარღვეულია პირობა, რომელიც მითითებულია „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებულ საგარანტიო ბარათში.

7. ანგარიშსწორების პირობები
7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;
7.3. ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთეჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების 16.1 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღეში.

8. მხარეთა ვალდებულებები
8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
8.1.1 მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
8.1.2კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
8.1.3. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ სრული და დროული დაფინანსება.
8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლება
9.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
9.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
9.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
9.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

10. ფორს-მაჟორი
10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ

მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2. ხელშეკრულების 14.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
15.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ინსპექტირების პირობები
16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.
16.2. წიმანდებარე ხელშეკრულების 16.1. პუნქტით განსაღვრული პირის ფუნქციებია:
16.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;
16.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, ინსპექტირების დასკვნის და ,,მიღება-ჩაბარების აქტის'' გაფორმება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები
18.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;
18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', სამი _ ,,შემსყიდველთან".

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”	შ.პ.ს „ივერსი“
ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა	ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზ.#2
საქართველოს ბანკი	ს/ს „თიბისი ბანკი“
კოდი № BAGAGE22	კოდი №TBCBGE22
ა/ა № GE87BG0000000291880101	ა/ა № GE37TB1137536020100003
ს/კ # 205169592	ს/კ №205077593
მარინა მესხი	ლევან დემეტრაშვილი
დირექტორი	დირექტორი

დანართი #1

#	საქონლის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	ზ/ე	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ: (ლარი)
1	მრავალფუნქციური პრინტერი CZ181A, M127fn, HP LaserJet Pro MFP Printer, A4, Print Copier, Scanner, Fax, 21ppm, 600x600 dpi, 128MB, ADF.	2	ცალი	434,16	868,32
2	კაბელი KDUSB2002-1.8M, KINGDA, USB AM/BM, 28AWG Coopper+28AWG, OD=4.5MM, PVC, Braiding 64x0.12AL,1 ferrite, 1.8M.	2	ცალი	2,38	4,76
3	გარე მყარი დისკი 6567-001TR201A, PQI External Hard Drive, H567V PLUS, USB 3.0, 1 TB, USB-powered, 5Gbps Speed White.	1	ცალი	169,05	169,05

სულ: 1042,13 ლარი

„შემსყიდველი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”

მარინა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი“
შ.პ.ს. „ივერსი“

ლევან დემეტრაშვილი
დირექტორი